

**ისტორიული რეალიების ასახვა გერმანელი
მოგზაურის იოჰან ფრიდრიხ პაროტის
წიგნში „მოგზაურობა არარატზე“
DEPICTION OF HISTORICAL REALITIES
IN THE BOOK JOURNEY TO ARARAT
BY GERMAN TRAVELER
JOHANN FRIEDRICH PARROTT**

ოთარ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Otar NikoleiSvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Georgia, with its rich history and diverse nature, has always been a subject of special interest to visitors from around the world. This explains the fact that most of the travelers who arrived in the country actively tried to do sightseeing in certain parts of Georgia.

One such person was the German naturalist and traveler Johann Friedrich Parrott who as a member of a scientific expedition to Transcaucasia visited our country (including Kutaisi) twice in 1811 and 1829. Johann Friedrich Parrott was the first scientist to carry out a successful expedition to Mount Ararat in 1829 and to record the results of that expedition in writing.

In particular, the impressions of the scientific expedition and stay in Georgia organized by J. F. Parrott on Mount Ararat are narrated in his book Journey to Ararat. Following author's death, the book was first published in London in 1845. The impressions of a German naturalist about his travels in many cities and regions of our country are narrated in an interesting way. The proposed paper analyzes the part of the book that addresses the German colonies in Georgia. Unfortunately, the above-mentioned book remains beyond the focus of scholars' attention.

It should be noted without exaggeration that the above-mentioned work of Johann Friedrich Parrot is inevitably an important foreign source for scholars interested in the relevant period of the history of Georgia.

საკვანძო სიტყვები: გერმანელი მოგზაური საქართველოში, იოჰან ფრიდრიხ პაროტი, გერმანული კოლონიები საქართველოში, სამეცნიერო ექსპედიცია ამიერკავკასიაში

Keywords: German traveler in Georgia, Johann Friedrich Parrot, German colonies in Georgia, scientific expedition to the Caucasus.

საქართველო თავისი მდიდარი ისტორიითა და მრავალფეროვანი ბუნებით ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენთან ვიზიტად მყოფი ადამიანებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აქ ჩამოსულ მოგზაურთა დიდი ნაწილი აქტიურად ცდილობდა საქართველოს ცალკეული კუთხეების ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო გერმანელი ნატურალისტი და მოგზაური იოჰან ფრიდრიხ პაროტი (Johann Friedrich Parrot, 1791–1841), რომელიც ორჯერ, 1811 და 1829 წლებში, იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის ქუთაისშიც, როგორც ამიერკავკასიაში სამეცნიერო ექსპედიციის წევრი. ი. ფ. პაროტი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც 1829 წელს არარატის მთაზე წარმატებული ექსპედიცია განახორციელა და წერილობითი სახით შემოგვინახა ამ ექსპედიციის შედეგები.

კერძოდ, ი. ფ. პაროტის მიერ არარატის მთაზე მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციისა და საქართველოში ყოფნის ამსახველი შთაბეჭდილებები მოთხრობილია მის წიგნში „მოგზაურობა არარატზე“. ხსენებული წიგნი პირველად 1845 წელს გამოიცა ლონდონში, ავტორის გარდაცვალების შემდეგ. მასში საინტერესოაა ნაამბობი გერმანელი ნატურალისტის მიერ ჩვენი ქვეყნის არაერთ ქალაქსა და რეგიონში მის მოგზაურობასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები. წინამდებარე ნაშრომში სათანადო კომენტარების თანდართვით წიგნის ის მონაკვეთია გაანალიზებული, რომელშიც საქართველოში არსებული გერმანული კოლონიების შესახებაა საუბარი. სამწუხაროდ, ხსენებული წიგნი დღემდე არ ქცეულა სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგნად. ავტორისეულ მონათხრობს განსაკუთრებულად ღირებულს ხდის ის ფაქტი, რომ იგი ძალზე მრავალფეროვანია და არაერთ საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ავტორის მიერ მონახულებული რეგიონების შესახებ.

თავისი შთაბეჭდილებების თხრობის დროს ი. ფ. პაროტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ქართულ დასახლებებსა და საქართველოში არსებულ გერმანულ კოლონია კატერინენფელდს შორის არსებული იმ განსხვავებულობის წარმოჩენაზე, რომელიც მას პირველივე დანახვისთანავე მოხვედრია თვალში. გერმანელი მოგზაურის აზრით, მათ შორის არსებული ეს განსხვავება არა მხოლოდ არქიტექტურული კუთხით იყო აშკარად თვალშისაცემი, არამედ ყოფითი კულტურითაც და ცხოვრებისეული ადათ-ტრადიციებითაც. მაგალითად, აი, როგორ აღწერს ავტორი ამ საკითხთან დაკავშირებულ თავის შთაბეჭდილებას:

„სოფელ შულავერში ყოფნისას შევიტყვე, რომ თბილისიდან ოცდაცამეტი მილის დაშორებით მდებარეობდა გერმანული კოლონია. ამიტომ გადავწყვიტე, ვწვეოდი მას. ამგვარი დასახლებანი კავკასიაში სულ შვიდია... კოლონისტები უმეტესად ვიუტენბერგიდან ჩამოსულ გლეხებს წარმოადგენენ, რომლებიც 1819 წელს რელიგიურ ფანატიზმს გამოექცნენ...

კოლონიები, თავიანთ ნაგებობათა სტილით, ნახნავებით, ორთვალეობით, სატვირთოებით, ავეჯით, საოჯახო ნივთებით,

ცხოვრების წესით, ჩაცმულობითა და ენით, პირველივე შეხედვისთანავე მიგახვედრებდათ, რომ გერმანული იყო. ეს დასახლებანი ძალიან განსხვავდებიან ადგილობრივთა სოფლებისგან“ (Parrot 1859: 278-279).

ამ გარემოებისთვის ყურადღების მიქცევის დროს აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ გერმანულ კოლონიათა არქიტექტურული იერსახის გამორჩეულობასა და მის ძალზე დიდ კონტრასტს ქართულ დასახლებებთან მიმართებით სხვა უცხოელი მოგზაურებიც უსვამენ ხაზს. მაგალითად, აი, როგორ აღწერს „ახალ ტფილისში“ ამ თვალსაზრისით იმხანად არსებულ ვითარებას ბრიტანელი კაპიტანი რიჩარდ უილბრეკემი (Richard Wilbraham), რომელმაც საქართველოში ყოფნის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები საინტერესოდ მოგვითხრო წიგნში – „მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიურ პროვინციებსა და ვანისა და ურუმის სამხრეთ მხარეებში 1837 წლის შემოდგომა-ზამთარში“ (Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837) :

„მე ძალიან მიხდოდა დავსწრებოდი წირვას გერმანული კოლონიის - „ახალი ტფილისის“ ეკლესიაში, რომელიც მდინარე მტკვრის საპირისპირო მხარეს იდგა... ხიდზე გადასვლისთანავე თქვენ გადიხართ ღორებისგან გავერანებულ ბინძურ ქუჩაზე...“

კოლონიაში კი ამ ვითარებისგან მკვეთრად კონტრასტული სიტუაცია დაგვხვდა. დიდი, ფართო გზა თეთრად შეღებილი კოტეჯების შუაში გადიოდა, რომელთა ირგვლივაც პატარა ბაღები იყო გარშემორტყმული, თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მაცხოვრებლები კი ეკლესიაში მიიჩქაროდნენ“ (Wilbraham 1839: 123-125).

ი. ფ. პაროტის მიერ გერმანულ დასახლებათა შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას კიდევ უფრო ღირებულს ხდის ის ფაქტი, რომ მასში იქ მცხოვრებ კოლონისტთა პიროვნული თავგადასავალიც არის მოთხრობილი. კერძოდ, როგორც ცნობილია, 1826-1828 წლებში რუსეთის იმპერიას ომი ჰქონდა გაჩაღებული სპარსეთთან, რა დროსაც ქურთმა მარადიორებმა ბევრი გერმანული დასახლება დაარბიეს, მათ შორის კატერინენფელდიც, სადაც მცხოვრები 85 ოჯახიდან 30 ადამიანი მოკლეს, 130 მათგანი კი ტყვედ იქნა წაყვანილი. სიტუაცია მხოლოდ 1828 წელს, თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, შეიცვალა რამდენადმე, როდესაც ტყვედ წაყვანილ ადამიანთა ნაწილმა უკან დაბრუნება მოახერხა. სწორედ ამ ისტორიულ ეპიზოდზე მახვილდება ყურადღება ი. ფ. პაროტის ზემოხსენებულ წიგნში ძალზე საინტერესოდ. მაგალითად:

„ბარგი ჩემს მხლებელს გავატანე, მე კი მარტო გავემართე კოლონიისკენ... ცხენით ხუთსაათიანი სიარულის შემდეგ მდინარის მარცხენა სანაპიროს მივადექი, სადაც გერმანული კოლონია მდებარეობდა: თეთრი სახლები - კარგი ფანჯრებით, კარებითა და ქვის სახურავით. მე სიამოვნებით განვაგრძე გზა. როგორც გავიგე, ეს კატერინენფელდი იყო. მღვდელი მ. ბონივეში სადაც წასულიყო. ამ ადგილას სასტუმრო არ იყო, ხალხმა კი, ვისაც პირველად შევხვდი, საკმაოდ ცივად მიმიღო. სიტუაცია

მალევე შეიცვალა, როდესაც მათ ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანი შეიტყვეს. კოლონისტები, რომლებიც იქ ვნახე, სპარსეთში ტყვეებად ნამყოფ პიროვნებებს წარმოადგენდნენ... განსხვავებული სქესისა და ასაკის ოცდაათი ადამიანი იქნა მოკლული ამ მოვლენების შედეგად, ასოცდაათი მათგანი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენებმა კი თავიანთი ქონება მიატოვეს და ელიზაბეტალს (ამჟამინდელი სოფელი ასურეთი - ო. ნ.) მიაშურეს. ამ დროისათვის კატერინენფელდში მსგავსი ტიპის ოთხმოცდახუთი ოჯახი ცხოვრობდა...

სპარსეთთან სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, ტყვეებმა თავისუფლება მოიპოვეს. მათგან იღბლიანებმა თავიანთი ყოფილი მფლობელებისგან ფულიცა და ტანსაცმელიც კი მიიღეს თავიანთ სახლებში დასაბრუნებლად. ხოლო დანარჩენები ტყვეები, რომლებიც მცირე აზიაში იყვნენ გაყიდულნი, კვლავად დაკარგულად ითვლებოდნენ...“ (Parrot 1859: 279-281).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ი. ფ. პაროტი გერმანულ დასახლებებში მცხოვრებ კოლონისტთა საქმიანობის შესახებაც გვაწვდის ფასეულ ინფორმაციას. კერძოდ, წიგნში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მათ ადათ-ტრადიციებსა და ცხოვრების წესზე. მაგალითად:

„ორი საათის შემდეგ, ახალგაზრდა გლეხთან ერთად უკან ელიზაბეტალისკენ გავემართე, რათა დამის გასათევი მომეძებნა... მე იაკობ მეცგერის (Jacob Metzger) სახლთან შევჩერდი; მის მეზობლად პასტორი ვიოჰრი (Wöhr) ცხოვრობდა, რომელიც იმხანად ძლიერ ავად იყო... პირველად მას ახალ ტფილისში შევხვდი. მან მე თავისთან მიმიპატიჟა... სამოცდახუთმა ოჯახმა, საკუთარი ხარჯებით, სოფლის ცენტრში პატარა კოხტა ეკლესია ააგო. ისინი დღემდე ძალიან ემოციურად იხსენებენ სპარსეთის ომსა და მის შედეგებს... ორივე კოლონიაში, დღესდღეობით, ძალზე მდიდრული ატმოსფერო და ზომიერი კლიმატია. კატერინენფელდი ზღვის დონიდან 1750, ელიზაბეტალი კი 2350 ფუტის სიმაღლეზეა. ივლის-აგვისტოში მათ ძალიან ბევრი ადამიანი სტუმრობს თბილისიდან.

გარდა ნიადაგის დამუშავებისა, კოლონისტები თავიანთი მდელოებით სარგებელს სხვა მხრივაც ნახულობენ; ისინი ამზადებენ თივას და თბილისში კარგ ფასად ჰყიდიან, რადგან იქ მასზე ძალიან დიდი მოთხოვნაა“ (Parrot 1859: 281-282).

გერმანულ დასახლებათა და იქ მცხოვრებ კოლონისტთა შესახებ ასევე საინტერესო ცნობები აქვს შემონახული ზემოთ უკვე მოხსენიებულ ბრიტანელ კაპიტანს რ. უილბრეკემს. იგი არა მხოლოდ მათ დასახლებაში არსებულ სიტუაციას აღწერს შეულამაზებლად, არამედ გერმანელთა მიმართ ცარისტული რუსეთის ხელისუფალთა მიერ გატარებულ პოლიტიკაზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად:

„მე გავემართე ახალი ტფილისისაკენ, რათა გამეველო ბატონი დიტრიხისათვის, რომელთანაც ძალზე საინტერესო საუბარი მქონდა

გერმანული კოლონიების შესახებ. მისი თქმით, მათ ვერ შეძლეს ისეთი ტემპით განვითარება, როგორსაც გეგმავდნენ. საამისოდ კი ბევრი მიზეზი არსებობდა... ბატონი დიტრიხის თქმით, ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს კოლონისტებს შორის რელიგიურ მოსაზრებათა განსხვავებულობის საფუძველზე არსებული გათიშულობა წარმოადგენდა. ახალი ტფილისის მოსახლეობამ თლიანად ვაჭრებისგან ან ხელოსნებისგან შედგებოდა... ისინი, ვინც თავიანთი ხელობის პროფესიონალები იყვნენ, მალევე გადავიდნენ ქალაქში და თითქმის არც ერთი მათგანი ღარიბად არ დარჩენილა. უფრო ცოტანი ფულს ეტლებისა და ცხენების გაქირავებით გამოიმუშავებენ, ზოგი კი რძისა და კარაქის გაყიდვით, ან ლორისა და ძეხვეულის წარმოებით“.

ბატონ დიტრიხისვე თქმით, რუსეთის მთავრობის კოლონისტებისადმი დამოკიდებულება ლიბერალური და გონივრული იყო. საფრანგეთის კონსული ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო მიეღო „დებატების ჟურნალი“ (“Journal des Débats” – გაზეთი საფრანგეთში, გამოდიოდა 1789–1944 წლებში – ო. ნ.) იმ პირობით, თუკი არ გაასაჯაროებდა რაიმე რუსულ თემას... მიუხედავად იმისა, რომ ტფილისში ძალზე ბევრი ევროპელი მოსახლეა, მათ არა თუ თავიანთი საჯარო ბიბლიოთეკა არ გააჩნიათ, არამედ წიგნის მაღაზიაც კი... ტფილისში არის ერთი გიმნაზია, რომელიც ყველა ეროვნების წარმომადგენელზე არის გათვლილი. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმოსავლური ენების ცოდნას...“ (Wilbraham 1839: 182-185).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ი. ფ. პაროტის ზემოხსენებული ნაშრომი – „მოგზაურობა არარატზე“ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ საგულისხმო უცხოურ წყაროდ საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Baddeley 1908: Baddeley J. F., Russian Conquest of Caucasus. New York, 1908.

Parrot 1859: Parrot J. F., Journey to Ararat. New York, 1859.

Wilbraham 1839: Wilbraham, R., Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837. London 1839.

<http://german-georgian.archive.ge/ka>. დამოწმება: 22.11.2020.

<https://peoplepill.com/people/friedrich-parrot/>. დამოწმება: 23.11.2020.